

# სიყვარული



თავისუფალი

1990

ს.ს. ლ. ბერიძის





„რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!  
რომ სიცოცხლე ბევრჯელ ცრემლზედ მწარია!“  
საკაკი

ორი, რა ზუსტად აქვს ნათქვამი დიდებულ პოეტს! სიცოცხლე ბევრჯელ მართლაც ცრემლზედ მწარია, მაგრამ რა ვქნათ, მავანთა და მავანთა სიბრძნეზე ზოგჯერ რომ არ გავიცინოთ, ხომ გასკდა გული?!

დღეს, როცა საქართველოს ისე უჭირს, როგორც არასდროს, როცა უტიფრად და უნამუსოდ გვედავებიან საკუთარ ცას, მიწას, წყალს, ვენახს და ყველაფერ ქართულს, სასაცილოდ შეიძლება არა გვქონდეს საქმე, მაგრამ 9 აპრილს რომ შევხვდით სიმღერით, განა მაშინ გვემღერებოდა?! ამ შეგნებით ვბედავ და ვიცინი ისეთ სერიოზულ საკითხებზე, ჩვენს ყოფნა-არყოფნას რომ უკავშირდება. ვფიქრობ, მკითხველი მიმიხვდება „რა ნესტართაც ვარ ნაჩხვლები“!



კაცმა რომ თქვას, რა გახდა ეს ერთი პატარა საქართველო, ამდენი სალაპარაკო რომ შეიქნა? დიდი უცნაური ხალხი ვართ ქართველები! — გთხოვენ შენს მამა-პაპულ მინებს? — ადექი და მიეცი! რა, მათხოვრისთვის არ მიგიცია მოწყალება?! ახლა რა დაშავდება, ვთქვათ, იმით, რომ ჩრდილო ოსეთი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაერთიანდეს?! ეს ხომ, როგორც „აღამონ ნიხასი“ აცხადებს, თურმე „ყველა ოსის საუკუნეობრივი ოცნებაა“. ყველა ოსის აზრი არ ვიცი, არც ის მგონია, რომ „აღამონ ნიხასს“ უფლება ჰქონდეს მთელი ოსი ხალხის სახელით ილაპარაკოს, მაგრამ ამ მოძრაობის ლიდერებს ხომ სურთ ეს?! ქართველები ხალხი ვართ?! ჩვენ გული გვაქვს?! ოსები (თუნდაც რამდენიმე ოსი) ჩვენი მიწის ხარჯზე გაერთიანებული ოსეთის შექმნაზე ოცნებობენ, ჩვენ კი ხელს ვუშლით, ეს არის ინტერნაციონალიზმი?! ეს არის ძმობა?! მერე რა, რომ საქართველოს საისტორიო არქივში დაცული 1873 წლის აღწერის მასალებით იმ დროს არც ცხინვალსა და არც ლენინგორში (აღრინდელ ახალგორში) არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა?!

ახლა ხომ ცხოვრობენ?! მერე რა, რომ ახლანდელ სამხრეთ ოსეთს ადრე სამაჩაბლო და საერისთავო ერქვა და იქ მხოლოდ ქართველები მკვიდრობდნენ?! ბოლოს და ბოლოს, რახან ჩვენს რესპუბლიკას საქართველო ჰქვია, აქ მაინცდამაინც ქართველები უნდა ცხოვრობდნენ?! ეს რა „ბუკვაედობაა“?! ან ჩვენ სტუმართმოყვარე ვართ?! სტუმრები გვთხოვენ, სამუდამოდ მივცეთ ქართული მიწა და აქედან ავიბარგოთ, ჩვენ კი გულის ხვამილს არ ვუსრულებთ! რა დაშავდება, მაგალითად, მთელი ქვემო ქართლი — საბარათიანო — აზერბაიჯანელებს რომ მივცეთ?! განა აზერბაიჯანელი ადამიანი არ არის?! განა მას არ სურს, რაც შეიძლება მეტი მიწა ჰქონდეს და თანაც ისეთი ნოყიერი, ოთხი მოსავლის აღება რომ შეეძლოს?!

ქართული მიწები სხვას რატომ უნდა მიეცეს?! — იკითხავს ზოგიერთი „ნაციონალისტი“ ქართველი. იმიტომ, რომ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ძმა კი ძმითაა ნაქები! კიდევ იმიტომ, რომ მას უნდა ასე, მას სჭირდება ის ქართული მიწა! კიდევ იმიტომ, რომ ისინი ბევრნი არიან და სპეციალურად მრავლდებიან, ჩვენთან რომ კალიებივით მოედონ ქართულ ტერიტორიებს! თუ კიდევ იკითხავს, რატომ, კიდევ ვუპასუხებ: იმიტომ, რომ საქართველო კავშირის „საერთო სახლში“ შედის და „ნაშ ოპში დომ“-ის პრინციპით ნებისმიერ ქართველს თავისუფლად შეუძლია წავიდეს და იაკუტიაში ან კამჩატკაზე იცხოვროს! მთელი ქართველობა ტუნდრაში რომ გადასახლდეს, რომელი მამააძლი რუსი დაუშლის ამას?! „ჩემი-შენი“ რას მიქვია იმ დროს, როცა საქმე ხალხთა ძმობას და მეგობრობას ეხება?! მაგრამ იმდენი შეგნება ვინ მოგვცა ქართველებს, რომ აჭარა, გურია, მესხეთ-ჯავახეთი და თრიალეთი გადავცეთ თურქეთს, შუა და ჩრდილო ქართლი — ოსეთს, კახეთი — დაღესტანს, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი — ყაბარდო-ბალყარეთს და სტავროპოლის მხარეს, იმერეთი (რაკი როინი შავ ზღვას უერთდება) — ზღვის გადაღმა მდებარე იუგოსლავიას, ან ბულგარეთს, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი — ჩრდილო კავკასიას, აფხაზეთი კი მხოლოდ აფსუებს დარჩეთ! თბილისი?! თბილისს რა ვუყოთ?! სომხებს მივცეთ, ზოგიერთ სომეხი მაინც იჩემებს, საქართველოს დედაქალაქი ჩვენიას! თუ სომხებს შერცხვებათ და ამას არ იკისრობენ, მაშინ აუცილებლად გამოვაცხადოთ თბილისის გასაყიდად, აღებული თანხა კი საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ერის დემოგრაფიულ ფონდში შევიტანოთ!.. მაგრამ რჩება ერთი პატარა, სულ პატარა პრობლემა — სად ვიცხოვროთ ქართველებმა?!

„ჩვენ უნდა ვსცილობთ ეხლა სხვა ვარსკვლავს!“ არასდროს არ მეგონა, რომ დიდი ილიას გენიალური ლექსის ეს სტრიქონი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გაგვეგო ქართველებს და ვარსკვლავზე გადასახლება უნდა მოგეზადებულიყავით! მაგრამ რომელ ვარსკვლავზე? ნოდარ დუმბაძის მოსაზრება, რომ ჩვენ წარმოშობით მარსიდან ვართ, შეიძლება სწორია (თუმცა მე ვფიქრობ, რომ უფრო ვენერადან უნდა ვიყოთ, მამ რატომ არის, არც ერთ ქართველ კაცს მარსი რომ არ ჰქვია სახელად, ვენერა კი ბევრ ქართველ ქალს უწერია პასპორტში), მაგრამ მარსზე ასე უცებ ვერ გადავსახლდებით, ცოტა დაფიქრება საჭირო, ასევე უნდა გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ! რატომ? ვერ ერთი, უხერხულია, მარსელები გვეტყვიან, თუ მიდიოდით, უკან რაღას ბრუნდებით, ეს რა არასერიოზულობაა და მაშინვე ოსების, აზერბაიჯანელების და სხვათა მაგალითს დაგვისახლებენ: — ხომ მიატოვეს სხვადასხვა დროს მათ თავიანთი ქვეყანა და საქართველოში დასახლდნენ, რატომ ისინი არ ბრუნდებიან იქ, საიდანაც მოვიდნენ, მე შენ გეტყვი და, ყურის ძირში არა აქვთ ჭეშმარიტი სამშობლო და, თქვენსავით, ახალი სამკვიდროს საძებნელად კოსმოსში ხეტიალი მოუნვეთო! — გვეტყვიან და მართლებიც იქნებიან. მეორე: ჯერ უნდა შევიტყოთ, ზუსტად რომელი პლანეტიდან ვართ! ჩვენი ღრმა რწმენით, ეს კარგად იციან „ლიხნელებმა“ და „აღამონ ნიხასელებმა“. აართვე მუსულმან „მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერებმა, მაგრამ ჯერჯერობით არ გვეუბნებიან, ასე ვთქვათ, კოზირს ინახავენ გადაწყვეტილ შერკინების დროისათვის, მაგრამ ქართველებს ვინ მოგვცა თავდაცვის უნარი?! — როგორც კი გვეტყვიან, მეორე დღესვე გადავსახლდებით კოსმოსში! ვაი თქვენს პატრონს უბედურს, ანტი-ქართველებო, თუ მართლა ასე ფიქრობთ ქართველებზე!



„მოყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

სხვა რა ვთქვა, ჩემო მოყვარევ, ვარ ფრიად განაოცები: ორივე ვიცით, ეს სახლი ვისგან გვაქვს მონაბოძები! აქ გვიფარავდა ოდიტგან ქინაპართ წირვა-ლოცვები! მე გეუბნები: „ამ სახლში ვიშვიო, აქ დავიხოცებით!“ შენ მიპასუხებ: „ზიარ სახლს უნდა შემოვსჭრა ხოძები!“ მშველელს დაეძებ, ჩვენს დუშმანს ემლიქვნელ-ეპირბოზები!

ზურგს აქცევ სალოცავებსა ბარისასა და მთისასა, აღარ კითხულობ „გამზრდელსა“, „სამშობლო ხევსურისასა!“ სუუველას სულში აფურთხებ — დედას, მამას და ბიძასა, ალალი დედის გავრდილი სხვაგან დაეძებ ძიძასა! კაცი მამას რომ დააგდებს და მამინაცვალს ფიცავსა, იმისი ზურგით ტარება ძალიან უმძიმს მიწასა! ნუ ფიქრობ, ვერა ვხვდებოდე შენს სამომავლო მიზანსა, — ჩემს საქათმეში ჩუმ-ჩუმად ბარტყებს უჩეკავ ციცარსა! ზურგიდან წამომეპარე, მშვილდს მალავ, ისვრი ისარსა! ძმაო, მტრად მოვლინებულო, ვაი დედასა მტრისასა!

ჩემთვის აპრილი დაღამდა, შენ გაგიტუნდა აპრილი, რაკილა ნახე დროშები — გლოვის უამს მძიმედ დახრილი მგელს ეტოქები კურდელი, არწივზე იმედდაყრილი!

მაგრამ მგელს არ ეშინია არც ცხელია და არც ცივის! ჭერ ჩემი ციხის ლაბოში წითელი გველი არ წივის, — ოხრად დაგრჩება იმედი კლანჭმოცვეთილი არწივის!

რაც ასტერ მოგისმენია, ერთხელ კვლა გაადრებ ამასა: არა ვიქმ გადამთიელთა საქართველოსი კამასა, მე ღრამა ბევრჯერ დამიდგეს, ერთსაც მე დავდგამ ღრამასა: „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა ღრამასა, არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!“

„ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“, მაგრამ სიმართლის დიდი მზე ხვალ ისევ ამობრწყინდება, — ვინც დედის ძუძუს აგინებს, რძე შხამად წარმოსდინდება!

ნ.ბ. მ. აბაშინისა

„ქმური დახმარების“ ხელი

# ფრანგები

- **ბადაური** ცხენი სამამულო წარმოების მათრახს არ დაიკრავსო.
- **მგალა** კვიცი შეჭამა: — სანამ შენ დედის წინ ხტომას დაიწყებ, მე შიმშილისაგან სული გამძვრებაო!
- **არ** გათეთრდება ყორანი, სანამ სარეცხი ფხვნილის დეფიციტითაო.
- **მრვიდა** საჯაროობის სეტყვა და დახვდა ბიუროკრატიული ქვაო.
- **აქლამის** ქურდი და ნემსის ქურდი — ორივე რეკუტირებთან მივაო.
- **წყალნალაპული** რიგითი ინჟინრის ხელფასს ებლაუჭებოდაო.
- **ცატსლი** თივაშიც დაიმალემა, გააჩნია რევიზორებსაო.

გვაქვს რეალური ეროვნულ-სუვერენული უფლებები!

კედლის გაზეთიდან თავის უფალი უფალია მხოლოდ! ათეისტის მონოლოგიდან პირველი იარუსი თავზე გვაზის პირდაპირ!

მაყურებელი ამფითეატრიდან ცვედანი მსტოვარია, ახლა ცეცხლს ეფიცება!


ალიტერაცია განქორწინებულთა ლექსიკონიდან

ავთანდილ ქიშირიძე (ქ. ბათუმი)

ავგლარ ნოზაძე (ქ. გორი)

ალექსი ზინჭარაული





# საქრებულო

პოლიტიკური ესკიზი

— შვილიშვილმა ბაბუს, ომისა და შრომის ვეტერანს, პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადა! — აკანკალებული ხმით მუხუყა ეს ამბავი კარის მეზობელმა, როცა მოვიკითხე და უგუნებობის მიზეზით დავინტერესდი. ერთხანს ხმა ვერ ამოვიღე, შემდეგ საქვეყნო საქმის წინსვლაზე გადავიტანე მსჯელობა და ამით ვცადე გამეხსენებინა.

70 წელს გადავაბიჯე, მაგრამ სიცოცხლე ახლა მწყურია, რადგან იმ დღეს მოვეხსნარი, რომელზეც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვოცნებობდი! — გამანდო სანუკვარი ფიქრი ვეტირანმა.

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვე. თან ისიც დავუმატე, ძველი გვარდიის წარმომადგენლები ცოტანი შემოგვრჩით და ნერვულ სისტემას გაუფრთხილდით—მეთქი!

— ასეთ საჯაროობას ყველა ვერ გაუძლებს, ვინმეს შეიძლება „პარალიჩი“ დაემართოს! — შემომჩივლა დარდიანად და გულისნადები გადმომიშალა.

სწორედ მისი ნაამბობი გამომაქვს სამსჯავროზე და დასკვნების გამოტანაც თქვენთვის მომიხდვია.

არ გეგონოთ, მხოლოდ ჩემი თაობის სატიკვარი მალაპარაკებდეს. ჩვენი ჯერი წუთისოფელი გავლით, ყველაფერს გაუძეულით, მაგრამ თუ გარდაქმნა დავისახეთ მიზნად, სიმართლეს ხომ უნდა ითქვას ბოლომდე?! მომავალმა თაობამ ხომ უნდა იცოდეს, რას ექმსახურებთ?

ნანატრმა თავისუფლებამ სენსაციურ მხილებათა მოზღვაება განაპირობა. დღეს განუკითხავად ლანძღავენ მათ, ვის სამსახურშიც ადრე იდგნენ. ხელის შემშლელი აღარაფერს ჰყავთ, მაგრამ არა მგონია, საჯაროობა დაუსაბუთებელ მოსაზრებათა საქვეყნოდ გამომხეურების უფლებას იძლეოდეს!

მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების შემდეგ, გაუთვითცნობიერებულ, სიმართლეს მონყურებულ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, რომ პიროვნების კულტის დროს ყველა პატიოსანი მოქალაქე რეპრესირებულ იქნა!

კი მაგრამ, ყველა თუ გადასახლეს ან დახვრიტეს, როგორღა იქნა ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ?

იმ დროს თუ მარტო შეცდომები და გადახრები ახსიათებდა, როგორ მოვახერხებთ II მსოფლიო ომის მოგება, განანაგებული ქვეყნის ხელახლა აღდგენა, სოციალისტური ბანაკის შექმნა?

ადრე თუ ყველა ჩვენს მიღწევას ერთი პიროვნების დამსახურებად წარმოგვიდგენდნენ, ახლა ერთ კაცს გადააბრალეს ყველა ჩვენი ცოდვა და უბედურება!

კი, ბატონო, არ იყო უცოდველი, მაგრამ ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ შეძლებდა ამდენი ადამიანის დასმენას, დაჭერას, გადასახლებასა და დახვრეტას!.. ისე გამოდის, სხვა საქმე არ ჰქონია და არც არაფერი გაუკეთებია!

ანდა, იმ ხალხს რას ვერჩით, ვინც თავდაუზოგავად ემსახურებოდა ახალი საზოგადოების მშენებლობას, უმძიმესი განსაცდელი გადაიტანა და ბედნიერი გამოჩნაკლისის სახით გადაურჩა რეპრესიებს?! ასეთები ხომ მილიონები იყვნენ?!

ბელადის სახე და მაღალი იდეალები განუყოფელ მთლიანობაში აღიქმებოდა. იგი ხალხის თვალში კომუნისტისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებების სიმბოლოდ იქცა! ამიტომ ვწრომობდით, ვიღვროდით, ვიბრძოდით მისი სახელით!..

ვცდებოდით? შესაძლოა, მაგრამ გულწრფელად გვეჯეროდა და ეს რწმენა ედო საფუძვლად ყველა ჩვენს გამარჯვებას!

რა ვიცოდით სტალინის პიროვნების შესახებ? მხოლოდ ის, რაც შორიდან ჩანდა, რასაც ვისმენდით და ვკითხულობდით. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ტელევიზია მაშინ არ გვქონდა და ცისფერ ეკრანზე ყოველდღე ვერ ვიხილავდით.

ქება-დიდება არც შემდგომ ხელმძღვანელებს მოკლებიათ, სანამ ისინი ხელისუფლების სათავეში იდგნენ. გუნდურკის კმევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის უმთავრეს მმართველებად იქცა, თავგაბეზრებულებს ხანდახან უთოს ჩართვაც კი გვეძინოდა ქსელში!..

ყოველი ტრიბუნიდან და ყველა საშუალებით თავს გვახვედნენ ახალ კულტებს, მაგრამ დიდი კულტის გაცამტვრების შემდეგ, პატარების აღარაფის სჯეროდა! საამისოდ მათ არც პიროვნული თვისებები გააჩნდათ და ეს ისე კარგად ჩანდა ტელევიზიის დახმარებით, რომ რეკლამა უკურეაქციას ბადებდა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ გაჩნდა ეჭვი და უნდობლობა, მაგრამ ახალი იდეალები არ შექმნილა! წარსული ვამხილეთ, ხელში კი მხოლოდ დაკარგული ილუზიები შემოგვრჩა!..

ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ პიროვნების კულტის მხილებას მისი პირადი სიმამაცის აქტად წარმოგვიდგენენ. ვინ ოხერი უარყოფდა ამას, თავის დროზე რომ გამოჩინა ასეთი გაბედულება, მაგრამ, კულტის გარდაცვალებისა და ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, საამისოდ დიდი სიმამაცე არ დასჭირვებია!

„ვაჟაკობა“ ამ სახელმწიფო მოღვაწემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომის დროს გვიჩვენა, როცა ფენსაცემელი გაიხადა, მაგიდას დასცხო და უშვერი ლანძღვა-გინებით გააოგნა თავგასული, თავხედი კაპიტლისტი.

ლანძღვა-გინება არც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს დააკლო.

„დემოკრატიის“ ნიღაბს ამოფარებულმა 1956 წელს თბილისში ახალგაზრდობის დემონსტრაციის დახვრეტის სანქციაც გასცა! არც ამას დასჯერდა და ეროვნული დივიზიის დაშლით უნდობლობა გამოუცხადა არა მარტო ომის ქარცეცხლში გამოვილილ სამხედრო პირებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს!

იმასაც კი წერენ, ხრუშჩოვი ტრაგიკული პიროვნება იყო, რეფორმები წამოიწყო და არ დასცალდაო. რეფორმებში, ალბათ, პირადი საკუთრების საქონლისათვის თივის დამზადების აკრძალვა, საკარმიდამო ნაკვეთების სახლის კიბემდე შეკვეცა, შრომის შედეგის გაუთვალისწინებლად გლეხისთვის გარანტირებული ხელფასის გაცემა, ყამირის უთავბოლო ათვისება, სიმინდის კულტურისადმი პათოლოგიური ინტერესიც უნდა ვიგულისხმობო!.. სულ რაღაც 5-7 წლის განმავლობაში ნიკიტა ხრუშჩოვის ქმედებების რეფორმების წყალობით ისეთი ზიანი მიაყენა ჩვენს სოფლის მეურნეობას, რომ სასურსათო პროგრამა დღესაც გადაუჭრელ პრობლემად გვრჩება!

ნუთუ არც იმაზე გემართებს დაფიქრება, პოლიტიკური სიბეცისა და ავანტიურის მიხედვით რა დონე იყო საჭირო კომუნისტების მშენებელთა გრანდიოზული ყრილობის ჩასატარებლად?

თითქოსდა, სოციალიზმი უკვე აშენებული გვექონდა! თანაც უბრალო კი არა, — უაღრესად განვითარებული! ყველა განვითარებულ ქვეყანას გვერდი აუფარეთ და საგრძნობლად ჩამოვიტოვეთ უკან! ჩვენი დამწვევი არავინ ჩანდა, რადგან წინ გიგანტური ნაბიჯებით მივაბიჯებდით!

აჰა, აღთქმული ხანა — 80-ანი წლებიც დაგივდა! აღმოჩნდა, რომ თურმე „უძრაობის“ ხანაში ვიმყოფებით და ვიმყოფებოდით. კომუნისტს ვინ ჩივის, სოციალიზმიც კი თავიდან გვექონია ასაშენებელი!..

ძნელი მოსანელებელია ასეთი გულახდილობა მას შემდეგ, როცა ხანგრძლივი ტაში მქუხარე ოვაციებში გადაიხარდა და ორდენების, მედლების, პრემიების, ნოდებების განუკითხავა რიგებამ თვითმკაცოფილების გრძნობა გაგვიღვივა!

რამდენიმე წლის წინ ხომ სულ სხვა ხასიათის ისტორიული აღმოჩენების მონმენი ვიყავით. ასე, ნ. ს. ხრუშჩოვის შემდეგ, გამოქვეყნდა კიდევ ერთი დიდი მხედართმთავარი, გმირის მორიგი ოქროს ვარსკვლავით დაუმშვენეს გადაჭედვით-გადატვირთული მეკრდი, რომელზეც ახალი ჯილდოსათვის ადგილიც არ რჩებოდა და ისეთი აურზაური ატეხეს, თითქოს II მსოფლიო ომის ბედი „მტრე მინახე“ გადაწყდა! იმაშიც გვარწმუნებდნენ, რომ ომის შემდგომი ქვეყნის „აღორძინება“ და ყამირის ათვისება ამ პიროვნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდაო!

კაცო, რომელიც სხვის დანერგულ ძლიერს კითხულობდა, დიდ მწერლად მონათლეს და ლიტერატურის დარგში ლენინური პრემიაც მიანიჭეს! ყველამ იცოდა, რისი დამწერიცა და გამკეთებელიც იყო, მაგრამ მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მამამებლობა ცხოვრების წესად იყო ქვეული!



მეტრამეობამ, კორუფციამ, მაფიამ კი ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ დასაჭერი გაგვიხდა: კანონიერების უპირველესი მცველი — სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი შჩოლოკოვი, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტების ზოგიერთი თავკაცი!.. ამ სიას თუ გავაგრძელებთ, საკმაოდ შორს წავიყვანს, რადგან მმართველობითი აპარატის გახრწნამ ყოველგვარ მოლოდინს და საზღვარს გადააჭარბა!..

მოდით, ახლა იმ დროის მთავარი დევიზი გავიხსენოთ: „არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენს გვერდით!“

„უძრაობა“ კი, მოგეხსენებათ, გამორიცხავს წინსვლას, ერთ ადგილზე დგომას, მიღწეულის ერთ დონეზე შენარჩუნებას გულისხმობს. დრო და საზოგადოების განვითარების კანონები კი უღმრთებელ კავშირშია ერთმანეთთან, მათ ვერაფერი შეაჩერებს!

„ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს!“ — გენერალური მდივნის ამ გენიალური გამოონათქვამით გვიმასპინძლებოდნენ ტალიონებით აღჭურვილებს. გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით სრულდებოდა. არიგებდნენ დროშებს და მილიონობით საბჭოთა ადამიანი დარბოდა ერთი რიგიდან მეორე რიგში საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. პატიოსანი მშრომელი წონაში იკლებდა, სამაგიეროდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა ფასები!.. არა, უთუოდ ვმოძრაობდით, მაგრამ გასარკვევია, საით?!

თუ ასე აუცილებლად მიგაჩნიათ, დაუძახეთ ჩვენი ისტორიის ყოველ პერიოდს ზედსართავი (განსაზღვრებითის ფუნქციით) სახელი, „პიროვნების კულტის“ ხანა იქნება ეს თუ „დათბობა“ და „უძრაობა“! მაგრამ ნუ დაივიწყებთ არსებითს!

თორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის, სასურველისა და არსებულის შეუსაბამობა მაშინ დაიწყო, როცა პროლეტარიატის დიქტატურა ერთი პიროვნებისა მმართველობითი აპარატის დიქტატურაში გადაიზარდა.

პიროვნების კულტი ვამხილეთ, მაგრამ მმართველობითი აპარატის დიქტატურა გრძელდებოდა.

პარადოქსია, მაგრამ სოციალისტურ სახელმწიფოში ყველა უსამართლობა და უკანონობა ხალხის სახელით კეთდებოდა. ამიტომაც, რომ წარსულში „ხალხის მტრებად“ გამოცხადებულთა

რეაბილიტაცია დღესაც გრძელდება. დრომ წარმოაჩინა მტერიც და მოკეთაც.

ხალხი იყო ის ძალა, რომელსაც წარმართავდნენ, იყენებდნენ, მაგრამ რა მიმართულებით და როგორი მიზნებისათვის? ეს კითხვა პასუხის გარეშე რჩებოდა.

სახელმწიფოში, რომელშიც სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, სწორედ ხალხი იყო გამოთიშული ქვეყნის მართვის, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესიდან! — ესაა ჩვენი ისტორიის ყველაზე მწარე გაკვეთილი!

მომავალში თაობამ უნდა იცოდეს, რომ ყველა შეცდომაზე, გადახრაზე, დანაშაულზე პასუხი მოეთხოვებათ ადმინისტრაციულ-მმართველური მეთოდებით შეიარაღებული მმართველობითი აპარატის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც იყვნენ ტრაგიკულ უკულმართობათა უშუალო მოთავენი და ინიციატორები!

როცა არ მოგვეკითხება, არც პასუხისმგებლობა გეკისრება! ხალხი არაფერ შუაშია!


მილიონობით მშრომელი, პატიოსანი ადამიანის სახელით მოვითხოვთ პოლიტიკურ რეაბილიტაციას!

დემოკრატია ახლა ვსწავლობთ! მოდით, შავი და თეთრი გავარჩიოთ! ჩვენს ისტორიას, ჩრდილის გარდა, შუქიც გააჩნდა! ასე რომ არ ყოფილიყო, გზა-კვალი აგვერეოდა და დღემდე ვერ მოვალწევდით! ეს შუქიც დავინახოთ! იმ თავდადებით, შემართებით, რწმენით გავინათოთ გზა, რომლებიც ნამდვილად გაგვარჩნდა და დღესაც ასე გვჭირდება!

რეპრესიები არ გვემუქრება! ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებზე ნუ გადავიტანთ მთელ ყურადღებას! გუშინდელ დღეზე დაფიქრება უფრო გვმართებს! იმ მანიკიერებათა დაძლევა საჭირო, ცხოვრების ნესად რომ გვექცა, თორემ ისე გამოდის, რომ ვილაცას ან რაღაცას ვერიდებით! ეს ვეჭვარნები შემოვრჩით თითებზე ჩამოსათვლელნი, თორემ გუშინდელნი მრავლად არიან და არც ძალა-უფლება დაუკარგავთ ჯერჯერობით!


დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს მოზოპილი სიტყვა და, რაც მთავარია, საქმე! ახლა ხომ ველარავინ დევამშვიდებს იმ იმედით, რომ საბჭოთა „პარალიჩი“ ყველაზე პროგრესული „პარალიჩია“ მსოფლიოში?!

ნახ. ჯ. ლოლუასი





# მკითხველთა თხოვნების მიხედვით



## მკითხველთა

ნელს, შორის, სამოცი  
ნელს ზედა  
წინაშენ რეკლამა  
სამოცი ნელს  
და უნდა გრძობა  
ვინც კრებული  
ვინც კრებული  
ვინც კრებული  
ვინც კრებული  
ვინც კრებული

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

## მედიონი მარტი

ახლა ველო დასავსება  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

დღეს ერთს ამბობს,  
ხვალ სხვას აღსავსება  
მედიონი მარტი

არც ვინ უყვები, რა ახლა  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

იცის, რასაც დასავსება  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

დღეს ერთს იტყობს,  
ხვალ — მეტირის  
მედიონი მარტი



## მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

## მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

## მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი



მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

## მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი  
მედიონი მარტი

სულ არაფერი არ ხდება  
ტყუარა თითქმის და,  
ბერი გავება  
არც არის მწელი,  
ველაფერი ამას  
მგლის სახელით  
ვინც მოთხოვდა,  
ლითონ არ იყო  
უზნალოდ მგელი

## მედიონი მარტი

ჭაში და ჯირბივით,  
ვის რას უწოდებ,  
იარაღით ავსა-მავს,  
ტიტანის საზღვრებში  
გვათავსებ ჩვენი „დავა“!



ამ ბოლო დროს ყურახარი არავის  
ბულით გინდავ ხაზის  
ჯაირიდა  
დღეა ჩაა, დღეა არ გვაყო,  
რომ გაჯიროს დღეა აცხად!

## მედიონი მარტი

ხმას არ აღეხვება ბულით ფიქრისა,  
ერთს იმე ზერი  
„მამინე რაღაც მაინც იყო,  
ახლა არაფერი“

## მედიონი მარტი

ხვერი უნდა ღრუბლები,  
„მთერის“,  
„დღის მართალი“  
„მამინე გრძობდა იყო,  
ახლა დასასრული“

ზოგი მჯელ დროს ვერ იცნობს  
როგორც კუთვნილ კურსის,  
„ცხელი ზერი იყო, მაგრამ  
ქარავი ზერი ერთია“

თავს იხლევა წიგნ-ხიდეები  
და ჰქვალ „მარშებს“ მღერის,  
„მამინე ველოფერი იყო,  
ახლა ველოფერი“

იმათ ვამბობ, რასაც უფორბო,  
ცუბაბა თუ ზერი,  
„მამინე არაფერი იყო,  
ახლა არაფერი“

## მედიონი მარტი

ლევებია „ვაჟა“ ექვს,  
სხვას არაფერს ეკუთვნის

## მედიონი მარტი

„ინოლი-ბინილი“,  
შეადგინს ნინილი,  
ხოციურ შერ არ გააგნია,  
რა უნდა, როგორ გინდინია?

„ინოლი-ბინილი“,  
ღაბია ქარავი იგი, რომ,  
ჩაი არ უნდა ციციციცი  
არ ციციციცი ციციციცი

„ინოლი-ბინილი“,  
შე მყოფარმისილი,  
ვერს უყვარს ვერ დავიხსნის,  
სადაც გინდა ინილი

## მედიონი მარტი

უბოდა მაგრამ  
ილარ მვერა,  
ჩაი არ ჩაქს,  
ბოლი იყო,  
მინი მტერი და ბოლიყო  
ნინი იგილიყო

გაზეთები მარცხ ამხანაგ —  
„ნაღდაც კურსი კოლეგია“

## მედიონი მარტი

თავს იხლევა წიგნ-ხიდეები  
და ჰქვალ „მარშებს“ მღერის,  
„მამინე ველოფერი იყო,  
ახლა ველოფერი“

მასს იმე იტყვება  
ბოლიყოფი,  
„მელოფერში“  
მელოფერში უნდა  
„ცხელი-ბინი“

ჩაი იგი იყო,  
„ველოფერში“  
მელოფერში  
„ნინილი სინილის“  
მელოფერში  
ქარავი მვერა!

თავს იმე იტყვება  
ბოლიყოფი  
„მელოფერში“

## მედიონი მარტი

„ინოლი-ბინილი“,  
შეადგინს ნინილი,  
ხოციურ შერ არ გააგნია,  
რა უნდა, როგორ გინდინია?

„ინოლი-ბინილი“,  
ღაბია ქარავი იგი, რომ,  
ჩაი არ უნდა ციციციცი  
არ ციციციცი ციციციცი

„ინოლი-ბინილი“,  
შე მყოფარმისილი,  
ვერს უყვარს ვერ დავიხსნის,  
სადაც გინდა ინილი

## მედიონი მარტი

უბოდა მაგრამ  
ილარ მვერა,  
ჩაი არ ჩაქს,  
ბოლი იყო,  
მინი მტერი და ბოლიყო  
ნინი იგილიყო

გაზეთები მარცხ ამხანაგ —  
„ნაღდაც კურსი კოლეგია“

დღისი წყლის რამ  
გარდაცმოსი  
გარდაცმოსი



## მედიონი მარტი

ვინც დაიწყებდა  
სახვას და სინდისს,  
ან ვინც იტყვდა  
უზნალოდ ხმას,  
„მელოფერში“  
„მელოფერში“  
„მელოფერში“  
„მელოფერში“

## მედიონი მარტი

„ინოლი-ბინილი“,  
შეადგინს ნინილი,  
ხოციურ შერ არ გააგნია,  
რა უნდა, როგორ გინდინია?

„ინოლი-ბინილი“,  
ღაბია ქარავი იგი, რომ,  
ჩაი არ უნდა ციციციცი  
არ ციციციცი ციციციცი

„ინოლი-ბინილი“,  
შე მყოფარმისილი,  
ვერს უყვარს ვერ დავიხსნის,  
სადაც გინდა ინილი


## მედიონი მარტი

უბოდა მაგრამ  
ილარ მვერა,  
ჩაი არ ჩაქს,  
ბოლი იყო,  
მინი მტერი და ბოლიყო  
ნინი იგილიყო

გაზეთები მარცხ ამხანაგ —  
„ნაღდაც კურსი კოლეგია“



# დიდოსტასოსი მარცხენა



## ნოველა

დაბადებით ცაცია ვარ და, ამით ყველაფერია ნათქვამი-მეთქი, რომ ავიხირო, არ ვიქნები მართალი! ჩემი პირადი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ მარცხენას, ანუ ლევის შეუძლია კომბინაცია დაატრიანოს ულვევი. ესო, ლევი საქონელი! ესო, ლევი კომბინაცია! ესო, ლევი სიყვარული და, ვინ მოთვლის, კიდევ რა! ახლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იკითხავენ, რა ხდება? მემარცხენე პარტიებსა და სხვადასხვა სახის პოლიტიკურ დაჯგუფებებს ყოველთვის მეტი სიმპათიით იხსენიებს ხალხი, ვიდრე მემარჯვენეებს.

მით უფრო საწყენია ის ამბავი, რომ მხატვრულ და მეცნიერულ ლიტერატურაში რატომღაც მარჯვენა არის გაბატონებული.

ვინ მოთვლის, რამდენი რომანი, მოთხრობა, პოემა, ესეი, თქმულება, ლეგენდა და ბალადა დაწერილა კაცის მარჯვენაზე, რამდენჯერ ამოკვეთილა ეს სასწაულმოქმედი ხელი ტაძართა და ციხე-სიმაგრეთა ფსადებზე, ქვისთვის შეუფარებია და საუკუნეებში გამოუტარებია თავისი პატრონის სახელი! რა დააშავა ამ დროს ცაცია? რატომ არის, რომ დღემდე არსად არაფერი თქმულა თუნდაც ისეთი გამოჩენილი დიდოსტატის მარცხენაზე, როგორც მე ვარ?

თუმცა დღეის მდგომარეობით აღარც ცაციად ჩავითვლები და აღარც მარჯვენად, მაგრამ სულ ახლო წარსულში მარცხენა, ანუ ლევი საქმეების ჩალიჩმაისტერი ვიყავი, ანუ, კულტურულად რომ ვთქვათ, დიდოსტატი! საქმე გამიიმასქნებია იმისთანა, რომ ნაპირზე გასულს უკან რომ გამიხედავს, თვითონვე გამკვირვებია. რამდენჯერ ჩაუშვივარ პადლეცებს, მაგრამ ჩემი ლევის წყალობით მაინც ამოვსულვარ სამზეოზე.

ამიტომაც ძალიან მეამაყებოდა, რომ დაბადებით ცაცია ვიყავი, სულ ზედ ვიყურებოდი მარცხენაზე: ზედ ასხმული ძვირფასი ბეჭდებით და იაპონური „სეიკოტი“ ისე იყო შემკული, რომ მართლა ღირდა საცქერლად. როცა მანქანით სადმე მივმგზავრებოდი, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, გვერდითა მინას ჩამოვწვდი, ჩემს სახელგანთქმულ ცაციას გავყოფიდი და მანქანის ძარაზე გადარკალულ ნიკელზე შემოვდებდი ხოლმე.

... მივეპროდი ტრასაზე და ძვირფასი ბეჭდებითა და იაპონური საათით დამშვენებული ხელით ქვეყანას შურით ვახელებდი.

ამაგდარი მარცხენა ხელისადმი ჩემი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მსხვილი ფულის დასტებს სულ მარცხენა ჯიბეებსა და უბეში ვინახავდი, მხოლოდ წვრილსა და ხურდა ფულს ვიყრიდი მარჯვნივ.

ტრასაზე მიმავალ სხვებსაც ვხედავდი კაბინიდან მარცხენა ხელგამოყოფილებს და ვხვდებოდი, რომ მათაც ლევით მოსწონდათ თავი, ჩვენი დროის ჩალიჩმაისტერები, ანუ დიდოსტატები იყვნენ!

ბოლო ხანებში მარცხენა მკლავის ძარაზე შემოდება კი არა ძირს გადმოკიდება შემოვიდა მოდამი. შორიდან რომ შევხედავდი, პირველ ხანებში მოჭრილი და უსიცოცხლოდ ჩამოკიდებული მეგონა. ასეთ მკლავს რომ დავინახავდი, ის ისტორიული ლექსი მაგონდებოდა, ხეკორძის ხეობაში ნათქვამი, ოღონდ გადაკეთებული-გადასხვაფერებული: „ლევი მიტრიალებია, სახლი...“  
გია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, დიდი რატომ ავიგია?!“  
თურმე ამის მთქმელს აკი ენამ მიყვილა! ალბათ ის მინყინა ლმერთმა, რომ ლექსში ის აღარ ვახსენე, „გაზ-24“-ც რო ლევით მქონდა ნაშოვნი!..

ერთხელაც საშარაფოდ მივეპროდი ტრასაზე და, რომ არ ველოდი, ერთი კლიენტი შემომეყარა გზაზე. მივეპრივარ ზედ კრომკაზე, გოიმები რომ ღერძულას ეძახიან, ისიც მოჭრის კრომკაზე და ფირმენი სიგნალით მიკვივს, მეც ჩაუერთე, მაგრამ საქმეში ხარ! ერთი სიტყვით, ტრასაზე წასულ კაცს ნერვებს მისინჯავს, აუუნთე შალოგენები, განევა არ ინება, აუუნთე პროექტორები, მაინც არ შეიბერტყა ყურები!.. კიდევ წამი და, ერთმანეთს სულ რაღაც მილიმეტრებში ჩაუჭროლეთ, და მაინც რაღაცა მეტიონა, არა, გული კი არა, ცოტა გარეთ!.. განა რა მოხდა?! ტკივილმა მარცხნივ მიმახედა, დავიხედე და რას ვხედავ?! — ჩემი საყვარელი ცაცია, ანუ ლევი, რომელიც ამნუთას კაბინიდან მქონდა გადაკიდული და საათ-ბეჭდებით მზეზე ბრდღვიალებდა, ზედ აღარ მება!.. როგორ, კაცო?!.. ამნუთას მკლავი აქ იყო, საათის ქანქარასავით დაქანობდა — კარს საამოდ ევლასუნებოდა გარედან და ახლა ასე უცბათ სად გაქრა?!  
მკლავის მაგიერ მოკლე ტაკვილა მქონდა სახელოდან ამოჩრილი, სისხლი და ცრემლი თქრიალით გამდიოდა!.. სასწონარკვეთილი აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, ეგების სადმე ეგდოს, ავიღო და ექიმებს მივაკერებინო-მეთქი!.. მკლავი არსად ჩანდა!.. გონება მოვიკრიფე და მივხვდი, რაც მოხდა. ტვერდით რეფრაქტორმა ჩამიქროლა, იმან წამაძრო და ახლა ალბათ მის ფასადზე შკილია, წარწერა მაინც ჰქონდა — „მკლავი მანქანის ტარების დიდოსტატისა“? მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ ჩემი იყო და დამიბრუნებდნენ. ახლა კი, ვინ იცის, სად მიაქროლებს?!  
ავტოინსპექციის ჯიხურთან მივედი და ინსპექტორს დახმარება ვთხოვე.

— ზედ ხომ არაფერი გკეთა? — მკითხა გამოცდილმა კაბიტანმა.  
— „სეიკო“, ოქროსი და პლატინის ბეჭდები!..  
— ეუპ, ბიჭო, რა მკლავი დაგიკარგავს! — შეიცხადა ინსპექტორმა, — იდაყვს ქვემოთ სულ წაღებულა, არა?  
— თან, რომ იცოდეთ, დაბადებით ცაცია ვარ, რა გინდოდა, არ გამეკეთებინა!  
— ასედაც და ისედაც ოქროს ხელი გქონია, მაგისტანა მკლავს ვილა გამოგიჩენს! — მომისამძიმრა კაბიტანმა.  
ასე დავშორდი ერთმანეთს მე, ჩემი მარცხენა და ინსპექტორი.

ახლაც ძველებურად დაქვრივარ ას სამოციოთ, საქვს კვლავაც მარჯვენათი ვმართავ, კაბინიდან კი მარცხენის ნაცვლად პროთეზი მაქვს გადმოკიდებული, ვინც უნდა გამკრას, სულ არ მაღარდებს!.. მაგრამ იმ ადგილას რომ გავვიღო ხოლმე, სადაც მკლავი დაკვარგბ, სევდა დამრევს ხელს, სიჩქარეს ვანელებ და სიგნალებით ვეხმიანები!..  
მკლავი არსად ჩანს!..

## ელგუჯა მერაბიშვილი





# ჩემი საქონელი



— თავის ჩამოხრჩობას რომ აპირებდი, რა ქენი?  
 — რა ვიცი, არც კაუჭი იშოვება, არც თოკი, სიმქარის იმედიც არა მაქვს!..

# სამსიპარო

ი უ მ რ ე ს კ ა

— ნურავინ დაელოდებით, დღეს უფროსს მიღება არ ექნება! — კატეგორიულად განუცხადა მდივანმა ქალმა და ცხვირწინ ხაჭსოვი ჩხირები დაუტრიალა.  
 — არადა, მთხოვნელი გუმანით გრძნობდა, რომ მმართველი კაბინეტში იმყოფებოდა, ცოტა ხნის შემდეგ მიხი ხმამაღალი ხერხინვაც კი გაიგონა!..  
 იმაღლა, კარებში შეიჭვრიტა, შეაღო და შიგ შეიჭრა.  
 — შეიძლება შემოვიდე? — იკითხა მაინც წრდილობისათვის.  
 — შემოსული არა ხარ, შე ოჯახქორო?! — იყო პასუხი.  
 „სწორედ ისაა ხედავ, ეს ფახიფუხა როგორ დაუწინაურებიათ?! ერთ მერხზე ვისხედით, ხელით სათრევი იყო, ჩემი კარნახით გადიოდა, რა ღმერთი გაუწყურება, უარს როგორ მეტყვის?! სამუშაოდ მომავსებს აბა, რა იქნება?!“ — ფიქრობდა გულში...  
 სიმსუქნისაგან აფუებული უფროსი მაგიდაზე თვეღმდა, სკამზე აღარ ეტეოდა, წინ ბორჯომის ბოთლები ედგა, მერე გარიგვინებულო, კომბალივით თავი წანტად წამოსწია.  
 — კი გამარჯობა! თქვენ სოკრატ ბალრანჯია არ ბრძანდებით? მე ხომ მიცანით? — ჰკითხა მოსულმა.  
 — კი! — უფროსმა ხელის ჩამორთმევა რატომღაც არ ინება, წამოდგა, უშველდებელ მუცელზე კამარი შეისწორა, საათს დახედა და საქმიანად თქვა: — საცაო თათბირი დაიწყება, უნდა გავაქცე მითხარით, რამ შეგაწუხათ?..  
 უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.  
 — აღარ იტყვი, ამხანაგო, რაზედ გარჯილხართ? რა გნებავეთ ჩემგან? — ხმას აუწია სოკრატემ.  
 — ო, არაფერი, არაფერი, გავიგე, დაბრმავებულხართ, ხალხს ვეღარ ცნობთ, და სამძიმარზე მოვედი, პატრონი!..


დავით ხუროძე

# ...ჩამოიქუხვებს არაბვად!

ბედნიერებას გისურვებ, ჩემი სამშობლოს მთა-ბარო, მინდა კეთილი სურვილი ახალ წელს გამოვატანო, არა ძველებურ მოდით და ჩვეული ქაქან-ტრაბახით, ვილაცის დავალებით და ვილაცის „ბრძნული“ კარნახით! არა, გარდაქმნა სულ სხვაა, სხვა წესი აქვს და მიზანი, ძველისგან გამოირჩევა, როგორც მდიდრისგან სიზანი! ახლა სულ სხვა გზით მივქრევართ, სხვა ტემპია და წესრიგი, მანქანაც სხვაა, ოღონდაც შიგ არ გვისხია ბენზინი!..  
 მიტომავე ვდგავართ რიგებში, არის შეხლა და შემოხლა, „ზრდილობიანი“ გინება, „ზრდილობიანი“ შემოკვრა!.. სამსახურს ვინლა იგონებს?! — იქ არის კრებაც, თათბირიც, ვინ გაკონტროლებს, ვინ გეძებს, ვისა აქვს წუთი დათვლილი! ძველისგან განმედილები საპონსა ვნატრობთ, ოღონდაც, თუ სადმე „ლევა“ ვიშოვეთ, არის ქება და მოლოცვა! საპნის ფხვნილებიც გაგვიქრა „ვიხრი“ არის თუ „აინა“, ქიმიის ზოგი ნაწარმი მტვერით სავსე გაიბნა!.. სიმართლე შუქად იღვრება, თუმც დენი არ გვაქვს ხანდახან, რას ვიზამთ, ასე ყოფილა, — მსხვერპლს მოითხოვსო გარდაქმნა! მესსიერება იღვიძებს უშაქროდ, სიტკბოს გარეშე [შაქარი იყოს, მივზიდოთ საკუთარ მარნის კარებზე!]. რა უშავს, თუკი ბავშვები შაქარს იხმარენ მოკვნიტით, სამაგიეროდ მარანში „სმენაზე“ დგანან ბოთლები!.. ეგ არის, შაქრის დიაბეტს ბევრი გაუჩნდა პატრონი, „აგარინის“ წყალობით ყოველდღიური დათრობით! თუმც მაშვრალს რა მაქვს საჯავრო, თუ წყალი გაჩნდა წყაროზე, წამალის მეტი რა არის აფთიაქების თაროზე?! მიდი, იყიდე, ვინ გიშლის, დროის დაკარგვაც არ უნდა, ჯიბეში გქონდეს ოღონდაც ის ყოვლისშემძლე ვალუტა! დღეს მანვინის გამყიდველიც კი ამ პლურალიზმით ერთობა, კანტს ეთანხმება პრინციპში, თან მარქსიც არა ეთობა! პოლიტიკაში ჩაეფლო, ვინც შეისწავლა ანბანი, ვინც ინსტიტუტში სწავლის დროს ვერ ჩააბარა საგანი, ვინც თოხს გაუნყურა სოფელში, მოწყინდა მისი ბაყუნი, ვინც შეიყვარა ქალაქი თავის ნაღდით და ნატურით, ვინც დროს აუნყოფეს ხმის ხმა, დაუძმავაკდა იდეებს, ვინც კარიერის გულისთვის პატრიოტობას იშველებს, ვინც თამადისგან გაგონილს ხმარობს სიტყვებად, ფრაზებად, სწყევლის ძველსაც და ახალსაც, აბობოქრდა და აღზევდა!.. თუ მიკროფონი ჩაიგდო, ვეღარ გამოგლეჯ ხელიდან, ხელს უჭერს თუმნიანივით, კრიტიკას იწყებს ქვევიდან! რომ უთხრა — „ცოტა დაუწი!“ — მიკროფონს ჩაგცხებს კეფში!.. რა შეაჩერებს ორატორს, კარლ კაუცკივით ხელგაშლილს?! თუ ეტყვი — „საქმეს მიხედე!“ — შემოგიკურთხებს სართულით, მთელ დღეს ქუჩაში ალაშქრებს პოლემიკაში ჩართული!.. ფაფხურობს, ოფლად იღვრება, რაღაცას მიეთმოეთობს, ოცნებაც აქვს, — იქნება მინისტრის სკამზე მოერგოს! სურს ერისკაცის სახელით იშოვოს თბილი ადგილი, მიტომავე უფროსს ადიდებს ეს მელაკუდა ნამდვილი! მაგრამ ასეთებს სულ მალე ძირს დაილექავენ მდინარე, მზეს ლაქა არა სჭირდება, ავი სიზმრები — მღვდობარეს! სამშობლოს ცაზე დადგება ცხრათავა სხივით მნათობი, არწივი აიფოფრება გრიგალთან ნაბრძოლ-ნაწრთობი და ასრულდება ნატრული, ფიქრთან შეზრდილი ალაღალ, თავისუფლება, ნეტარი, ჩამოიქუხვებს არაბვად!

ვალერიან მამუკელაშვილი





— რა გვეწველება, კაცო, ამისთანა ენერგოკრიზისში რომ ვართ?!  
— შენ იკითხე, თორემ ჩემს ცოლს იმდენი ბიოდენი აქვს, ჩაი-საც ვადულებთ და სადილსაც ვხარშავთ!..

დილიდან ღიმილი არ მშორდება,  
დავალ უჩვეულოდ კმაყოფილი:  
ძველ სასაფლაოზე მომიზომეს  
ჩემი სამუდამო სამყოფელი!

გულში სიხარული მიღიტინებს  
პაერს შერეული ოზონივით:  
მართლა პატიოსნად შემირჩიეს,  
მისხალ-მისხალაა მოზომილი!

.ო, შესანიშნავი მიწა მერგო —  
მშრალი და იოლად გასათხრელი,  
ქვიშაც ზომიერად ურევია,  
ქვები — თითებზეა დასათელელი!

## ზღვისიღბი დაქალი

კიდევ ერთმა რამემ გამახარა!  
ჩემი მესაფლავეც გავიცანი —  
ჩუმი, უენო და უწყინარი  
ერთი გუგულივით კაცი არი!

აჰა, მეც მაქვს მიწა საკუთარი  
და აღარავისთვის გაყოფილი! —  
უსაყვედურო და ალალია  
ტყეში მონყვეტილი ნაყოფივით!

ვაი, შენ, ქალაქო დანგრეულო,  
ციხის კარიბჭეო შელენილო,  
თორემ მე ვერავინ გამიბედავს  
ამ ჩემს საკუთრებას შემეცილოს!

ადამიანურად დავისვენებ,  
შუბლზე შემაშრება მწარე ოფლი!  
ზოგჯერ ტოტზე ჩიტი შემოჯდება,  
ამბავს მომიყვება ნუთისოფლის!..

დილიდან ღიმილი არ მცილდება,  
დავალ უჩვეულოდ კმაყოფილი:  
ჩუმ სასაფლაოზე მომიზომეს  
ჩემი საუკუნო სამყოფელი!..

ნუგზარ აფხაზაძე



# «ნიანგს» ფასუხუნს



რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაკოლმეურნეობის“  
საპედაგოგიური საშუალებალო-სამონტაჟო  
სამმართველოს უფროსი ა. ჭაღაძე

თქვენი უფროსის 1988 წლის მე-14 ნომერში გამოქვეყნებული „ფოტობრალდები“ შესახებ გაცნობებთ, რომ წერილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების კანონმდებლობაში ჩაუხედავი ავტორის მიერ არის შედგენილი; აღნიშნულ შენობას ელექტრომომარაგების ძირითადი წყარო და ტელეფონისაცა კაბელის აბს-დან ჭრჭერობით მთლიანი რაოდენობით აღმდეგ არა აქვს მიღებული, რაშიც სამშენებლო ორგანიზაცია უცოდველია. ნამდვილი ისტორია და ფაქტური მდგომარეობა ასეთია:

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის (ამჟამად „საქსახაგრომწევის“) 1984 წლის 20 აგვისტოს № 1452 ბრძანებით რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსაკოლმეურნეობის“ გადაეცა დამტკიცებულ ტექნიკური დოკუმენტაცია და დაევალა შედგომოდა საკუთარი სახსრებითა და მატერიალური რესურსებით მშენებლობას „საქსაკოლმეურნეობის“ სამმართველოს აპარატისა და ქ. თბილისში დისლოცირებული მათი დაქვემდებარების ორგანიზაციების განსათავსებლად.

აღნიშნული კომპლექსის მშენებლობა 1988 წლიდან დაევალა ამავე გაერთიანების თბილისის სპეციალურ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, რომელიც რ/გ „საქაგრომწევის“ № 1 ტრესტის, ხოლო 1988 წლის ბოლოდან რ/გ „საქსაკოლმეურნეობის“ დაქვემდებარებაში იმყოფება.

გენერალური გეგმა ითვალისწინებდა სხვადასხვა დანიშნულების ხუთი კორპუსისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობას მეტად რთულ რელიეფურ სამშენებლო მიედანზე; გარე კომუნიკაციების (ელექტრომომარაგება, წყალსადენი, კანალიზაცია, გათბობის ქსელები, გზები, კეთილმოწყობა, ტელეფონისაცა და რადიოფიკაცია) სამუშაოების სრულყოფა გათვალისწინებული იყო კომპლექსურად ყველა ნაგებობისათვის ურთიერთკავშირში.

ვინაიდან რ/გ „საქსაკოლმეურნეობის“ პროექტი გათვალისწინებული ყველა ნაგებობის მშენებლობა არ შეეძლო საკუთარი სახსრების უქონლობის გამო (მთლიანი სახარკთადრიცხვო ღირებულება შეად-

გენდა 2,95 მლნ მანეთს) თავიდან გათვალისწინებული იყო მხოლოდ №5 კორპუსის მშენებლობა, ხოლო ამავე მიზეზით № 4 კორპუსის მშენებლობა კონსერვაციაში იქნა გაშვებული 1988 წლიდან.

1988 წლის 1 აგვისტოს №5 კორპუსი გადაეცა მართვის უმაღლესი სკოლის დირექციას.

ამავე №5 კორპუსის პირველ ხართულზე მოიავსდა „საქსახაგრომწევის“ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრი (დირექტორი ი. დვალა), რომელმაც შენობა ყოველგვარი შეთანხმების, თვინებურად და პროექტის გარეშე გადააქეთა და ისეთი დანადგარები შეიტანა, რომელიც ამ შენობისათვის გათვალისწინებული არ ყოფილა რამაც გამოიწვია დინამიურ დარტყმები და ნაგებობა სრულ აარიულ მდგომარეობაში მიყვანა.

№5 კორპუსის ელექტრომომარაგება გნორციელებული იქნა სათანადო ორგანოებთან შეთანხმებული დროებითი სქემით, სატრანსფორმატორო სადგური აშენებულია, სატელეფონო კაბელი დამკვეთს ღლებლდებით არ შემოუტანია, მაგრამ ამჟამად საინფორმაციო ცენტრში ნომერი მინც მოქმედებს.


ამხ. ი. დვალმა უნდა იცოდეს მშენებლობის დაგეგმვისა და წარმოების ელემენტარული კანონები, კერძოდ ის, რომ მშენებელს (მოიქარეს) გეგმაში უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული მისი შენდგომი ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტის საჭიროებისათვის რეალური დაფინანსება, დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს მოიქარე საჭირო მოწყობილობა-დანადგარებით და სპეციალური მასალებით (ელექტრო, სატელეფონო კაბელი და სხვა).

ყოველივე ამის შესახებ ჩვენ მოხსენებითი ბარათი წარვუდგინეთ საბურთალოს რაიონის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და შემდგომ ორგანიზაციას 1988 წლის 4 მაისს, ხოლო 1988 წლის 28 მაისს საბურთალოს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტს, მან შეამოწმა ფაქტები და მისივე დადგენილებაში ჩვენზე რაც იყო დამოკიდებული, შესრულებულ იქნა დროულად და ხარისხიანად.

რაც შეეხება უფროსის „ნიანგსში“ გამოქვეყნებულ „ფოტობრალდებს“, აქ ძირითადად დაკონსერვებული მეოთხე კორპუსის შენობაა მინიშნებული, რათა მდგომარეობა უფრო გაემწვავებინათ, საინტერესოა, რა მიზეზით?







სატიკოსა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“ № 2  
(1804). იანვარი. გამოდის  
1923 წლის იენისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზადი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჯემალ  
ლოლაუა (მხატვარ-რედაქ-  
ტორი). ნოდარ შალაზონია,  
ალექსანდრე სამსონია, ბე-  
ჟან ნიხარულიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფჩივაძე, ნაფი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
13. 12. 89 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 18. 01.  
90 წ. ქალაქის ზომა  
60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბეჭ-  
დი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9. საქართველოს კ  
ცკ-ის გამომცემლობა, ლე-  
ნინის 14. შეკვ. № 2783  
უე 04002. ტირაჟი 125.000.  
ჟურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ბელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაების — 99-02-38,  
მდივან-მე მან ქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
стваели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.



ინდექსი 76137

— სად მიდიხართ, ბიჭავო?  
— არ თქვან უცხოკლანეთლეგმა, ქართველები უკურ-  
მარილო ხალხიაო..

